

პარასკევის ქადაგება

م 2023/6/23

١٤٤٤/١٢/٥هـ

პატივცემული შეიხ
დოქტორი
აბდულ მუჰსინ ბნუ
მუჰამმად ალ-ყაასიმ

სათაურით

ზულ ჰიჯჯას 10 დღის საქმეები

ზულ ჰიჯჯას 10 დღის საქმეები

أعمال العشر ذي الحجة1

ჭეშმარიტად, ქება-დიდება ეკუთვნის ალლაჰს. ჩვენ ვაქებთ მას და ვადიდებთ, მას ვთხოვთ დახმარებას და პატიებას. ალლაჰს შევეფარებით ჩვენი სულების სიავისგან და ჩვენი ცუდი საქმეებისგან. ვისაც ალლაჰი დაადგენს ჭეშმარიტ გზაზე მას ვერავინ აუბნევს გზას, და ვისაც ალლაჰი აუბნევს გზას, მას ვერავინ დაადგენს ჭეშმარიტ გზაზე. ვამოწმებ, რო არ არის ღირსეული თაყვანისცემისა გარდა ალლაჰისა, რომელსაც არ ჰყავს თანაზიარი და ვამოწმებ, რომ მუჰამმადი მისი მონა და მოციქულია. ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა იყოს მასზე, მის ოჯახზე და მის მეგობრებზე მრავალი მისალმებით.

და ამის შემდეგ:

გეშინოდეთ ალლაჰის ო, ალლაჰის მსახურნო ჭეშმარიტი შიშით, გეშინოდეთ მისი ფარულადაც და აშკარადაც.

ჰეი თქვენ მუსლიმებო! დადგა სიკეთეების დრო მსახურებზე, როგორიცაა ალლაჰის სიკეთე და კეთილშობილება.

როგორც კი რიტუალი მთავრდება მას მოჰყვება სხვა თაყვანისცემა, რათა განიწმინდონ მათი სიბინძურისგან და ამაღლდნენ საფეხურებით.

ჩვენ უკვე დაგვრჩდილა დალოცვილმა ათმა დღემ. ეს არი საუკეთესო, დაფასებული და დიდებული დღეები, რომლებზეც იფიცება ალლაჰი თავის ყურანში:

„ვფიცავ განთიადს და ათ ღამეს“.

მასრუყმა (ალლაჰმა შეიწყალოს ის) თქვა: „ეს არის ადჰას ათი დღე, წლის ყველაზე საუკეთესო დღეებში“. ის ალლაჰის მიერ

აკრძალული დღეებიდან არის. ასევე, ეს არის ცნობილი თვეების ბოლო თვე, როგორც თქვა მასზე ალლაჰმა:

„ჰაჯობა ცნობილ თვეებშია“. და თქვა ქაღბამ(ალლაჰმა შეიწყალოს ის): „ალლაჰის საყვარელი და აკრძალული თვეებიდან არის ზულ ჯიჯჯას თვე და ზულ ჰიჯჯას საყვარელი დღეებიდან არის მისი ბოლო ათი დღე“. მისი დღეები უკეთესია რამადანის ბოლო ათ დღეზეც. ალლაჰის მოციქულმა თქვა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა იყოს მასზე), რომ მისი დღეები უკეთესია რამადნის ბოლო ათ დღეზეც. თქვა ალლაჰის მოციქულმა: “ყველაზე საუკეთესო დღეები ამ ქვეყნად ზულ ჰიჯჯას ათი დღეა“. გადმოცემულია ბუხარის მიერ.

თქვა შეიხულ ისლამმა(ალლაჰმა შეიწყალოს ის): “ზულ-ჰიჯჯას ათი დღე უკეთესია რამადნის ათ დღეზე და რამადანის ათი ღამე უკეთესია ზულ-ჰიჯჯას ათ ღამეზე“.

ზულ-ჰიჯჯას ათი დღის დიდებულება გამოიხატება იმაში, რომ მასში გაერთიანებულია თაყვანისცემის ისეთი საფუძვლები, რომლებიც არ გხვდება სხვა დროს, ესენია: ლოცვა, მარხვა, მოწყალების გაცემა და ჰაჯობა.

ამ ღამეების და დღეების სიკეთით გამოყენება არის მათი ერთმანეთზე უკეთესობის მიზეზი. ამ დრეებში გაკეთებული კეთილი საქმეები ალლაჰისთვის უფრო საყვარელია, ვიდრე სხვა დღეებში. ალლაჰის მოციქულმა თქვა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა იყოს მასზე): „ არ არსებობს ამ ათ დღეში გაკეთებულ საქმეზე უკეთესი საქმე. და შეეკითხეს მას: არც ჯიჰადი? მან უპასუხა: არც ჯიჰადი, გარდა იმ კაცისა, ვინც გავიდა ალლაჰის გზაზე, ჩააგდო საფრთხეში მისი სული და ქონება, და არ დაბრუნებულა არაფრით“. ბუხარი ჰადისი.

თქვა იბნ რაჯაბმა(ალლაჰმა შეიწყალოს ის): „ეს ჰადისი მიუთითებს იმაზე, რომ ამ ათ დღეში შესრულებული საქმეები ბევრად უკეთესია ალლაჰისთვის, ვიდრე სხვა დღეებში გაკეთებული საქმეები, გამონაკლისის გარეშე.“

იყვნენ სალაფები, რომლებიც განსაკუთრებით მონდომებულნი იყვნენ კეთილი საქმეების კეთებაში. საიდ იბნ ჯუბეირი როცა დადგებოდა ზულ-ჰიჯჯას ათი დღე იყო განსაკუთრებით გულმოდგინე იქამდე, სანამ შესწევდა მას ძალა.

ალლაჰზე მორჩილება ამ ათ დღეში არის სხვადასხვანაირი, რომელთაგანაც დაკანონებულია: ალლაჰის ხსენების გახშირება. წმინდა ალლაჰმა თქვა:

“ და მოიხსენიონ ალლაჰის სახელი ცნობილ დღეებში.“

თქვა იბნ აბბასმა ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი: “ამ ათ დღეში წმინდა ალლაჰის ხსენება საუკეთესო დაახლოება არის მასთან“. თქვა ალლაჰის მოციქულმა ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა იყოს მასზე : „არ არის დღეები უფრო დიდებული ალლაჰის წინაშე და უფრო საყვარელი მისთვის, ვიდრე საქმეები გაკეთებული ათ დღეში; და გაიხშირონ მასში ლაა ილააჰა ილლა ლლაჰ, ალლაჰუ აქბარ, ალჰამდულილლაჰ“. ახმადის გადმოცემა

და თქვა ნავავიმ ალლაჰმა შეიწყალოს ის :“ სასურველია გაახშიროთ ალლაჰის ხსენება ამ ათ დღეს განსხვავებით სხვა დღეებისა, და უფრო მეტად არაფა დღეს განსხვავებით ამ ათი დღის სხვა დღეებისა.“ ყველაზე საუკეთესო ზიქრი არის ალლაჰის წიგნის კითხვა, რომელიც ჭეშმარიტ გზაზე დამდგენი აშკარა სინათლეა.

თქაბიირ-ალლაჰუ აქბარ. ამ სიტყვის წარმოთქმა შეიძლება ნებისმიერ დროს ზულ-ჰიჯჯას ათ დღეში. იბნ უმარი და აბუ ჰურაირა ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი გადიოდნენ ბაზარში ზულ-ჰიჯჯას ათ დღეს და ადიდებდნენ ალლაჰს და მათთან ერთად ადიდებდნენ ალლაჰს ხალხიც. გადმოცემულია ბუხარისგან.

თაქბირები დაკანონებულია ყოველი ლოცვის შემდეგ არაფას დღის ფაჯრის ლოცვიდან ჰაჯის შემსრულებლებისთვის და სხვა ყველასთვის ბოლო დღის ასრიდან მზის ამოსვლამდე ყოველი ნამაზის შემდეგ.

მოწყალება ეს არის კეთილი საქმე, მისით უმსუბუქებენ დარდს და აშორებენ მწუხარებას. კარგი იქნება მისი გაცემა საჭიროების დროს და ცნობილ დღეებში.

თქვა ალლაჰის მოციქულმა ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა იყოს მასზე: „ ვინც მიისწრაფვის, რომ დაეხმაროს ქვრივ ქალებს და გაჭირვებულებს მსგავსია წამებულის ალლაჰის გზაზე. და ვფიქრობა მან თქვა შეუჩერებლად მლოცველისა ან შეუწყვეტლად მარხულისა.“ შეთანხმებულია

სასურველია ამ ათი დღის პირველ ცხრა დღეში მარხვა. თქვა იმამ ნავავიმ : „მეტად სასურველია მარხვა არაფა დღეს, რომელშიც ალლაჰი პატიობს ცოდვებს გასული და მომდევნო წლის.“ გადმოცემულია მუსლიმისგან

პილიგრიმითვის სასურველია არ იმარხოს ამ დღეს, როგორც შუამავლის უმრავლესობა არ მარხულობდა, რომ დარჩეს ძლიერად და აკეთოს ბევრი ვედრება.

არაფა დღეს მუსლიმები ხვდებიან ერთმანეთს იმედის, ღვთისმოშიშობის, თავმდაბლობის და მორჩილობის დღეს. „არ არსებობს დღე, რომელშიც ალლაჰი ათავისუფლებს იმაზე მეტ მონას ჯოჯოხეთისგან, ვიდრე არაფას დღეს.“ გადმოცემულია მუსლიმისგან

თქვა შეიხულ ისლამმა ალლაჰმა შეიწყალოს ის: „არაფა დღის საღამოს გარდმოევლინება მათ გულებში მოწყალება, რწმენა, სინათლე, ბარაქა და ვერ შეძლებ აღწერო ის“.

ამ დღეს ვედრება დიდებულია, ხოლო საქმეები ამაღლებული. მისი მდგომარეობა ამაღლებს მონას თავის ბატონთან და სთხოვს მას მისი გულუხვობიდან შეუჩერებლად. და მიმართავს მის გულს ალლაჰისკენ. ის ბრძანებს: “და მოუხმეთ ალლაჰს გულწრფელი რწენით“. აამაღლებს ის შენს თხოვნას და გიხსნის დამწუხრებისგან. არაფა თუ სხვა დღეს გულწრფელობით მიიღწევა ვედრებაზე

პასუხის მიღება. და ის არის ყოვლისშემქმნელი, მცოდნე. როცა მას რაიმე სურს საკმარისია მან თქვას იქმენ! და ისიც იქნება!

თქვა იბნ აბდულ ბარმა ალლაჰმა შეიწყალოს ის:“ ვედრება არაფას დღეს მიღებულია უმრავლესისგან“. ზულ ჰიჯჯას მეათე დღე მსხვერპლშეწირვის დღეა. და ეს არის უდიდესი დღე ალლაჰის წინაშე. თქვა ალლაჰის მოციქულმა: **“ ჭეშმარიტად ალლაჰის წინაშე უდიდესი დღეებიდან არის შეწირვის დღე, ხოლო მის შემდეგ მისი მომდევნო დღე“.** გადმოცემულია ანუ დაუდისგან

ეს დღე მეტად აკრძალული დღეა ალლაჰის წინაშე. ალლაჰის მოციქულმა გამოსამშვიდობებელ ჰაჯობაზე თქვა: „ და თქვენთვის ყველაზე აკრძალული დღეებიდან ეს დღეა, და ყველაზე აკრძალული თვეებიდან ეს თვეა“. გადმოცემულია აჰმადისგან

ეს არის ერთ-ერთი დღესასწაული მუსლიმებისთვის, სიხარულის და ბედნიერების დღე. და ეს არის ისლამის ერთ-ერთი საფუძველი. და ეს არის დიდი ჰაჯობის დღე.

წმინდა ალლაჰმა თქვა: “და აი უწყება ალლაჰისგან და მისი შუამავლისგან ყველა ადამიანისადმი დიდი ჰაჯობის დღეს.“

მსხვერპლშეწირვის დღეს ალლაჰმა აცნობა მის შუამავალს ალლაჰის მშვიდობა და ლოცვა იყოს მასზე, რომ მან დაასრულა მათი რელიგია და არ საჭიროებს რაიმის დამატებას. და უკვე სრულყო ის ალლაჰმა და არ დააკლდება მას არაფერი არასდროს. ალლაჰი კმაყოფილია მისით და არ გაბრაზდება მასზე არასდროს. წმინდა ალლაჰმა თქვა: “დღეს ვსრულჰყავი თქვენთვის თქვენი რელიგია და სრულად გარდმოვავლინე ჩემი მოწყალება თქვენზედ და კმაყოფილი ვარ ისლამით, როგორც თქვენი რელიგიით“.

თქვა იბნ ქასირმა ალლაჰმა შეიწყალოს ის: „ეს არის უდიდესი მოწყალება ალლაჰისგან ამ უმმაზე, როგორც კი დაასრულა მათთვის მათი რელიგია და არ საჭიროებს სხვა რელიგიას და სხვა შუამავალს, გარდა მათი შუამავლისა.

თქვა შუამავალმა ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა იყოს მასზე:“და თქვენ იქნებით შეკითხულნი ჩემზე“. გადმოცემულია მუსლიმისგან.

მსხვერპლშეწირვის დღეს შეეკითხა შუამავალი საჰაბებს: „მოვიტანე თქვენამდე?“ მათ უთხრეს : დიახ. მან თქვა :“ო ღმერთო დაამოწმე“. შეთანხმებული

ეს იყო დიდებული დღე, როცა დაარიგა შუამავალმა მისი ხალხი და თქვა: “და მიიტანეთ, აცნობეთ მოწმეებმა მათ, ვინც არ იმყოფება. იქნებ ეს განცხადება შეინახოს მსმენელმა. „ შეთანხმებული

თქვა მუზჰირმა ალლაჰმა შეიწყალოს ის:“ ეს არის მოწოდება, რომ შეისწავლოს ხალხმა შუამავლის ჰადისები (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა იყოს მასზე) , ალლაჰის სხვა კანონები და საფუძვლები. და არ უნდა შევწყვიტოთ ცოდნის მიღება და გავრცელება ადამიანებს შორის.

ზოგიერთი ადამიანი დღესასწაულზე სიხარულთან ერთად უყურადღებოდ არიან ალლაჰის ხსენებაზე. თქვა წმინდა ალლაჰმა: “და ახსენეთ ალლაჰი განსაზღვრულ დღეებში“.

იბნ აბბასმა ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი თქვა:“განსაზღვრული დღეები თაშრიყის დღეებია და ისინი მსხვერპლშეწირვის შემდეგი სამი დღეა.“

თქვა ალლაჰის მოციქულმა(ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა იყოს მასზე): „თაშრიყის დღეები არის საჭმლის, სასმელის მიღების და ალლაჰის ხსენების დღე“. მუსლიმი

თქვა იბნ ჰაჯარმა ალლაჰმა შეიწყალოს ის: „და უკვე დამტკიცდა ღირსეული ათი დღე და ღირსეული თაშრიყის დღეები“.

მსხვერპლშეწირვის და თაშრიყის დღეები დიდი თაყვანისცემაა ალლაჰისთვის ქონებით და პირუტყვით. ეს არის

ალლაჰისთვის საუკეთესო საქმეებიდან. ეს არის ალლაჰთან კავშირი ლოცვით: „ილოცე შენი ღმერთისთვის და შესწირე შესაწირი“.

ალლაჰმა წააქეზა მიუთითა მონას გულწრფელობისკენ შესაწირში, რომ ის იყოს მხოლოდ ალლაჰისთვის და თავისუფალი იყოს მისი განზრახვა თვალთმაქცობისგან და მოჩვენებითობისგან. და არ იყოს შესრულებული მხოლოდ ადათებიდან გამომდინარე.

წმინდა ალლაჰმა თქვა:“ ალლაჰთან არ მიდის არც მისი ხორცი და არც მისი სისხლი, არამედ მიდის თქვენი ღვთისმოშიშობა“.

ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა იყოს მასზე) შეწირა ალლაჰისთვის ორი დიდი ყოჩი თეთრი რქებით და შავი ქოჩორით. ყველაზე საუკეთესო შესაწირი არის ყველაზე ძვირადღირებული მისი სულისთვის და მისი ოჯახისთვის. კაცს შეუძლია ერთი ცხვარი შესწიროს მისთვის და მისი ოჯახისთვის. და არ არის პრობლემა, რომ კაცმა ისესხოს შესაწირისთვის, ალლაჰთან მოტყუების და უკმაყოფილების გამოხატვის გარეშე მისი დიდი საფასურის გამო. ჭეშმარიტად მისი საზღაური უდიდესია ალლაჰთან. ჭამეთ, აჭამეთ, გაეცით მოწყალება ღარიბებზე, ნათესავებზე და მეზობლებზე.

ვისაც სურს, რომ შესაწირი დაკლას აკრძალულია მისთვის ამ ათ დღეში ფრჩხილის და თმების შეჭრა. შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა იყოს მასზე) თქვა: „ვისაც ჰყავს შესაწირი შესწიროს ის, ვინც იხილავს ზულ ჰიჯჯას ახალი მთვარე არ შეჭრას ფრჩხილები და თმები, სანამ არ შესწირავს მას“. მუსლიმი

ამ სიკეთის და მოწყალების პერიოდში ჩადენილი ცოდვა ითვლება უფრო დიდ ცოდვად, ვიდრე სხვა დღეებში. წმინდა ალლაჰმა თქვა: „უეჭველად თვეთა რიცხვი ალლაჰთან არის თორმეტი, ალლაჰის წიგნში ცათა და დედამიწის გაჩენის დღიდან მათგან ოთხი თვე აკრძალულია. და სწორედ ეს არის ჭეშმარიტი სარწმუნოება. და არ მოექცეთ უსამართლოდ თქვენს სულებს ამ თვეში“.

და თქვა ყათადამ ალლაჰმა შეიწყალოს ის: „უსამართლობა აკრძალულ თვეებში უფრო დიდი ცოდვაა, ვიდრე სხვა დროს. უსამართლობა ნებიმიერ მდგომარეობაში დიდია, მაგრამ ალლაჰი გაუდიდებს (ცოდვას) ინებებს ვისაც.

ჰეი თქვენ მუსლიმებო, ბედნიერია ის, ვინც გამოიყენა ამ თვის საათები და დღეები, რომ დაუახლოვდეს მის ბატონს მისი გულწრფელი მორჩილებით. და იმედოვნებს, რომ ის უსაფრთხოდ იქნება ამის შემდეგ ცეცხლისგან და შევა სამოთხეში, რომლის სივრცეც ცისა და დედამიწის ტოლია.

خطبة الجمعة

١٤٤٤/١٢/٥هـ

2023/6/23 م

فضيلة الشيخ

د. عبد المحسن بن محمد القاسم

إمام وخطيب المسجد النبوي الشريف

بعنوان

أعمال عشر ذي الحجة

مترجمة باللغة الجورجية